ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება .../.../...

თბილისი, .../.../... წელი

ერთის მხრივ **შპს მოგო**, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდით _____, შემდგომში '**მოგო**' წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, _____ (პ/ნ_____) მიერ და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი _____ **(პ/ნ: _____)** შემდგომში '**პარტნიორი**'.ორივე მხარე ერთობლივად მოიხსენება როგორც 'მხარეები', ხოლო ცალ-ცალკე როგორც 'მხარე',ერთობლივი განზრახვით, ნამდვილი და თავისუფალი ნების საფუძველზე, ყოველგვარი მოტყუების, შეცდომისა და იძულების გარეშე, თანხმდებიან გააფორმონ შემდეგი სახის ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულო ძალის მქონეა მათთვის და მათ სამართალმემკვიდრეთათვის უფლებამონაცვლეთათვის:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მხარეები, ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, თანამშრომლობენ **ლიზინგის ან უკულიზინგის მიმღებთა მოგოსთვის** მოზიდვის მიზნით, მათ შორის მოქმედებენ **ლიზინგის მიმღებთა** ინფორმირების გაზრდის კუთხით **მოგოს ლიზინგის** მომსახურების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

2. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

2.1. **პარტნიორმა** სასურველია კუთვნილ სავაჭრო ობიექტზე განათავსოს ინფორმაცია **მოგოს** შესახებ და აგრეთვე სარეკლამო მასალა **მოგოს** მიერ შეთავაზებული მომსახურების შესახებ, მათ შორის სალიზინგო განაცხადების ფორმები. **პარტნიორი** ახორციელებს სალიზინგო მომსახურების რეკლამირებას მხოლოდ იმ სარეკლამო მასალისა და სალიზინგო განაცხადთა ფორმების გამოყენებით, რაც მას **მოგოსგან** აქვს მიღებული ან რომლებიც წინასწარ იქნა დამტკიცებული **მოგოს** მიერ.

2.2. **პარტნიორი** კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს **ლიზინგის მიმღებს** ინფორმაცია **ლიზინგის** შესახებ, **მოგოს** მითითებათა შესაბამისად და აგრეთვე აცნობოს სხვა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესახებ, რაც აუცილებელია **მოგოსათვის** წარსადგენად ამ უკანასკნელის მიერ **ლიზინგის მიმღებზე ლიზინგის** გაცემის გადაწყვეტილების მისაღებად. **პარტნიორი ლიზინგის მიმღებს** მიაწვდის მხოლოდ სწორ ინფორმაციას, ამ უკანასკნელის შეცდომაში შეყვანის გარეშე.

2.3.**პარტნიორი** კისრულობს ვალდებულებას პროფესიონალური კოორდინაცია გაუწიოს **ლიზინგის მიმღების** მიერ სალიზინგო განაცხადის წარდგენას, მათ შორის ჩაიბაროს **ლიზინგის მიმღებისგან** ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია **ლიზინგის მიმღებზე ლიზინგის** მიცემის გადაწყვეტილების მისაღებად და გადაუგზავნის აღნიშნული ინფორმაცია და დოკუმენტაცია **მოგოს.**

2.4. **პარტნიორი** კისრულობს ვალდებულებას არ გამოიყენოს მოგოს სახელი სხვა მიზნებისათვის, გარდა **ხელშეკრულებაში** პირდაპირ მითითებულისა.

2.5. **პარტნიორი** რეგულარულად აწვდის **მოგოს** ინფორმაციას საკუთარი მომსახურების შესახებ და ასეთ მომსახურებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

2.6. **პარტნიორს** ეკრძალება გადაუხადოს **ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების** საფუძველზე მიღებული **ანაზღაურება** ან მისი ნაწილი ან რაიმე სხვა სახის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ **ლიზინგის მიმღები** მიიღებს **მოგოსგან ლიზინგს. პარტნიორს** აგრეთვე ეკრძალება შევიდეს ანალოგური სახის გარიგებაში **ლიზინგის მიმღებთან**.

2.7. **ხელშეკრულება** არ ზღუდავს **პარტნიორის** უფლებას ითანამშრომლოს ლიზინგის მომსახურების განმახორციელებელ **მესამე პირებთან.**

3. პარტნიორის უფლებამოსილებანი

3.1. **პარტნიორი** გამოდის მხოლოდ როგორც ინფორმაციის მიმწოდებელი **მოგოს** მიერ განხორციელებული მომსახურების შესახებ. ნებისმიერი სხვა საქმიანობის განსახორციელებლად **პარტნიორმა** უნდა მიიღოს **მოგოს** შესაბამისი წერილობითი მინდობილობა.

3.2. პარტნიორს არ გააჩნია უფლება:

3.2.1. **მოგოს** სახელით მიიღოს გადაწყვეტილება **ლიზინგის მიმღებზე ლიზინგის** გაცემისა თუ გაცემაზე უარის შესახებ;

3.2.2. **მოგოს** სახელით მიიღოს გადახდები ან ნებისმიერი სხვა შესრულება, რომელიც გამომდინარეობს **პარტნიორის** შუამავლობით დადებული გარიგებიდან;

3.2.3. მიიღოს პრეტენზიები ან საჩივრები **მოგოს** მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხსა თუ ნაკლზე და აგრეთვე სხვა გზავნილები, რომელითაც **ლიზინგის მიმღები** ან **მესამე პირი** იყენებს ან არ იყენებს საკუთარ უფლებებს რაც გამომდინარეობს ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულებიდან.

4. მოგოს უფლებები და ვალდებულებები

4.1. **მოგო** კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს **გამყიდველისათვის სატრანსპორტო საშუალების** ნასყიდობის ფასის გადახდა **ხელშეკრულების** მე-7 მუხლის, **ლიზინგის ხელშეკრულებისა** და ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად.

4.2. **მოგო** კისრულობს ვალდებულებას **პარტნიორს** მიაწოდოს სრული ინფორმაცია, რაც აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესასრულებლად, მათ შორის, სარეკლამო მასალა და **მოგოს** მიერ შეთავაზებული **ლიზინგის** მომსახურების შესახებ ცნობები.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ **ლიზინგის მიმღებმა** აირჩია **მოგოს** მიერ შეთავაზებული **ლიზინგის** მომსახურება, მაშინ **მოგო** ვალდებულია დროულად აცნობოს **პარტნიორს მოგოს** გადაწყვეტილება **ლიზინგის** გაცემაზე თუ გაცემაზე უარის შესახებ და აგრეთვე გადაუგზავნოს **პარტნიორს ლიზინგის ხელშეკრულება** და შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.4. **მოგო** კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს **პარტნიორს** ინფორმაცია **მოგოს** მომსახურებისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ და აგრეთვე ჩაატაროს **პარტნიორისათვის** და ამ უკანასკნელის თანამშრომელთათვის სემინარები და სასწავლო კურსები **მოგოს** მიერ შეთავაზებული მომსახურების თაობაზე. სასწავლო კურსების შინაარსსა და ჩატარების სიხშირეს ადგენს **მოგო.**

4.5. **მოგო** კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს **პარტნიორს** ინფორმაცია ყველა ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც შევა **ლიზინგის ხელშეკრულების** გაფორმების პროცედურაში.

5. ანაზღაურება

5.1. **ხელშეკრულებით** დადგენილი ვალდებულებების შესრულებისათვის და **ლიზინგის მიმღების** მოზიდვისათვის **მოგო** უხდის **პარტნიორს ანაზღაურებას** შემდეგი ოდენობით:

5.1.1. თუ ფორმდება **ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება** ან **უკულიზინგის (ლომბარდი) - ხელშეკრულებაში** მითითებული **ლიზინგის** თანხის 2% (ორი პროცენტი), მინიმუმ 100(ასი) ლარი,მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. თუ ერთი თვის განმავლობაში გაიცა 10 სესხი და მეტი -ხელშეკრულებაში მითითებული ლიზინგის თანხის 3% მინიმუმ 100(ასი) ლარი,მაგრამ არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. **ანაზღაურება** მითითებულია საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

5.1.2 თუ ფორმდება ავტომობილის ნასყიდობის/გადაცემის ხელშეკრულება - ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საფასურის 2% (ორი პროცენტი), მინიმუმ 100 (ასი) ლარი, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში გაფორმდა 10 ნასყიდობის/გადაცემის ხელშეკრულება და მეტი - ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საფასურის 3% მინიმუმ 100 (ასი) ლარი, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ანაზღაურება მითითებულია საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

5.2. **პარტნიორს ანაზღაურების** მოთხოვნის უფლება წარმოეშობა იმ მომენტიდან, როდესაც **მოგო** გასცემს **ლიზინგს ლიზინგის მიმღებზე** და განახორციელებს **პარტნიორისათვის სატრანსპორტო საშუალების** ნასყიდობის ფასის გადახდას, რომელიც მითითებულია **ლიზინგის ხელშეკრულებაში** ან ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

5.3. **მოგო** არ არის ვალდებული გადაუხადოს **პარტნიორს** რაიმე სხვა სახის ანაზღაურება **ხელშეკრულების** შესრულების სანაცვლოდ, გარდა 6.1 პუნქტში მითითებულისა. **პარტნიორს** არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე დამატებითი ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ **მოგო პარტნიორის** მიერ მოზიდულ **ლიზინგის მიმღებს** მიაწვდის სხვა მომსახურებას, გარდა ისეთი მომსახურებისა, რომლის თაობაზეც მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან.

5.4. **მოგო** არ არის ვალდებული გადაუხადოს **პარტნიორს ანაზღაურება** იმ შემთხვევაში, თუ **მოგო** გასცემს **ლიზინგს ლიზინგის მიმღებზე,** რომელიც წარმოადგენს **მოგოს** თანამშრომელს, მისი მშობელი კომპანიის თანამშრომელს, მმართველი ორგანის წევრს ან ნებისმიერი ორგანის წევრს, რომელიც დამოკიდებულია მმართველ ორგანოზე ან სხვა კომპანიის თანამშრომელს, რომელმაც პირდაპირ ან ირიბად მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა **მოგოს** საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში ან რომელის კაპიტალშიც **მოგომ** მიიღო პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობა.

5.5. **ანაზღაურებას** ყოველ გაცემულ **ლიზინგზე მოგო პარტნიორს** უხდის **გამყიდველისათვის სატრანსპორტო საშუალების** თანხის გადახდიდან და **პარტნიორის** შესაბამისი ანგარიშის მიღებიდან მომდევნო თვის 15 (თხუთმეტ) რიცხვში, **პარტნიორის** მიერ ანგარიშში მითითებულ საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიშზე.

5.6. აღნიშნული მუხლით გათვალისიწნებული ანაზღაურება არ გაიცემა თუ:

- ***5.6.1.*** *თქვენს მიერ მოყვანილ ავტომობილზე, კომპანია მოგოში ფიქსირდება სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი ბოლო 3 კალენდარული თვის მანძილზე;*
- ***5.6.2.*** *წინასწარ არ გამოაგზავნით შპს მოგოს ვებ პორტალის მეშვეობით შესაბამის განცხადს, უნიკალური კოდის მითითებით;*
- ***5.6.3.*** *თქვენს მიერ მოყვანილი მანქანის ფაქტობრივი მესაკუთრე აღმოჩნდება ჩვენს ბაზაში არსებული სხვა დილერი (პარტნიორი);*

6. სატრანსპორტო საშუალების ფასის გადახდა

6.1. იმ შემთხვევაში, თუ **მოგო ლიზინგის მიმღებს** უფორმებს **ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებას**, რომლის საფუძველზეც **მოგო პარტნიორისგან** ყიდულობს **სატრანსპორტო საშუალებას**, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილ **სატრანსპორტო საშუალების** ნასყიდობის ფასს **მოგო პარტნიორს** გადაურიცხავს 2 (ორი) დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც **პარტნიორი მოგოს** ოფისში წარადგენს ყველა დოკუმენტის ორიგინალს, რომლიც მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში. **ლიზინგის მიმღებისგან** ან **მესამე პირისაგან სატრანსპორტო საშუალების** შეძენის შემთხვევაში, **სატრანსპორტო საშუალების** ნასყიდობის ფასი გადაირიცხება **ლიზინგის ხელშეკრულების** ან ნასყიდობის ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად.

6.2. **მოგოს** გააჩნია უფლება არ გადაიხადოს ნასყიდობის ფასი თუ **სატრანსპორტო საშუალების** ნასყიდობის ფასის გადახდისათვის **სატრანსპორტო საშუალება** დატვირთულია მესამე პირთა უფლებებით, აკრძალვებით, შეზღუდვებით ან მოთხოვნებით, რომლებმაც შესაძლებელია გაართულონ **მოგოს** უფლებათა განხორციელება.

7. სატრანსპორტო საშუალების შეფასება

7.1. **პარტნიორს** გააჩნია უფლება განსაზღვროს **სატრანსპორტო საშუალების** საბაზრო ღირებულება. **სატრანსპორტო საშუალების** საბაზრო ღირებულების დასადგენად **პარტნიორი** ამზადებს **სატრანსპორტო საშუალების** შეფასებას ქვემოთ მითითებულ მოთხოვნათა შესაბამისად და წარუდგენს მას **მოგოს.**

8. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტა

8.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედი მის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღეს და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, გარდა იმ **ხელშეკრულებით** დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ხდება მისი ვადამდე შეწყვეტა.

8.2. თითოეული მხარე უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება** მეორე მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით უშუალო შეწყვეტამდე სულ მცირე 15 (თხუთმეტი) დღით ადრე.

8.3. **მოგოს** გააჩნია უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება პარტნიორისათვის** აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინებით 10.2 პუნქტში განსაზღვრული ვადის დაუცველად იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორი** არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს **ხელშეკრულების** რომელიმე ვალდებულებას.

9. კონფიდენციალურობა

9.1. **პარტნიორი მოგოს** თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას არც ერთი პირის წინაშე ან/და არ მოახდენს ასეთი ინფორმაციის საჯარო კომენტარს ან არ დაადასტურებს ასეთ ინფორმაციას თუ აღნიშნულს გააჟღერებს და/ან მოსთხოვს რომელიმე პირი და მიიღებს ყველა გონივრულ ზომას ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად და/ან განსამტკიცებლად.

10. სხვადასხვა

10.1. **ხელშეკრულება** შედგენილია და ხელმოწერილია ორ პირად, რომელთაგან ერთი გადაეცემა **მოგოს,** ხოლო მეორე - **პარტნიორს.**ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10.2. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებამდე არსებული ყველა სახის წერილობითი თუ ზეპირი შეთანხმება უქმდება და კარგავს ძალას.

შ.პ.ს.მოგო	სახელი _____
ს/კ _____	პ/ნ _____
მის: _____	